

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასასაქმებელი პირის - სამეურნეო მუშაკის ვაკანტურ პოზიციაზე შესარჩევი გამარტივებული კონკურსის საერთო ოქმი N1

25 აგვისტო 2017 წელი

დაბა ხულო

2017 წლის 3 აგვისტოს სსიპ „საჯარო სამსახურის ბიურო“-ს ადმინისტრირებულ ვებგვერდზე hr.gov.ge გამოცხადდა შრომითი ხელშეკრულებით დასასაქმებელ - სამეურნეო მუშაკის ვაკანტურ პოზიციაზე, დასასაქმებელი მოსამსახურის შესარჩევი გამარტივებული კონკურსი (ვაკანსიის N44466), სულ შემოვიდა 9 განაცხადი, განცხადების გადარჩევის ეტაპზე ყველა განცხადებამ დააკმაყოფილა დადგენილი მოთხოვნები და კონკურსანტები გადაყვანილ იქნენ გასაუბრების ეტაპზე.

გასაუბრება ჩატარა ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ჯამბულ ხოზრევანიძემ 2017 წლის 25 აგვისტოს, გასაუბრებას ესწრებოდა - იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი დავით თავართქილაძე.

გასაუბრებაზე გამოცხადდა ორი კონკურსანტი:

1. ლელა შავაძე (პ/ნ 61009021234);
2. მზია კოჩალიძე (პ/ნ 61009007384)

განათლება:

1. ლელა შავაძე - 2008 წელს დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი დაწყებითი განათლების ფაკულტეტი მინიჭებული აქვს დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდის მასწავლებლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, არ აქვს სამუშაო გამოცდილება, გასაუბრებისას გამოავლინა კონკურსანტმა შედარებით დაბალი უნარ ჩვევები რაც მოცემული ვაკანტური პოზიციისათვის არ იყო საკმარისი.

2. მზია კოჩალიძე - 2007 წელს დაამთავრა ქალაქ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტი მინიჭებული აქვს განათლების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, აქვს 2 წელი და 9 თვე სამუშაო გამოცდილება, კარგად იცის კომპიუტერული პროგრამები, კონკურსანტმა გასაუბრებისას გამოავლინა ის ძირითადი უნარ - ჩვევები, რომლებიც აუცილებელია სამეურნეო მუშაკის პოზიციაზე.

კონკურსანტებთან გასაუბრებისას გამოვლენილი უნარ - ჩვევების, სამუშაო გამოცდილების შესაბამისად გადაწყდა

მიღებულ გადაწყვეტილება:

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასასაქმებელი პირის - სამეურნეო მუშაკის ვაკანტურ პოზიციაზე შესარჩევი გამარტივებული კონკურსში მონაწილე ორი კონკურსანტიდან მზია კოჩალიძე წარდგენილ იქნას ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასასაქმებელი პირის - სამეურნეო მუშაკის ვაკანტურ პოზიციაზე.

ხულოს მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე



ჯამბულ ხოზრევანიძე

საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური  
რესურსების მართვის განყოფილების მეორადი  
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

დავით თავართქილაძე